საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060175331809116

ბრძანება **№-461**

ქ. თბილისი **14** / სექტემბერი / **2016** წ.

შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“-ს მეტალურგიული საწარმოს (ფეროშენადნობთა საწარმო) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,უ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №43; 13.09.2016 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“-ს მეტალურგიული საწარმოს (ფეროშენადნობთა საწარმო) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ჯორჯიან ელოის გრუპმა“ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№ 43; 13.09.2016) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუასქ. 6ა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 43

13 სექტემბერი 2016 წ

I. საერთო მონაცემები

1. **საქმიანობის დასახელება** - მეტალურგიული საწარმოს (ფეროშენადნობთა საწარმო) მშენებლობა და ექსპლუატაცა;
2. **საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი** - შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი"ქ.რუსთავი, დავით გარეჯის N38.
3. **საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა** - ქ.რუსთავი, დავით გარეჯის N38
4. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** - 31.08.2016 წ.
5. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ** - შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილია შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი"-ს მეტალურგიული საწარმოს (ფეროშენადნობთა საწარმო) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიში.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის მიხედვით შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი"-ს ფეროშენადნობთა საწარმო მდებარეობს ქ.რუსთავში დავით გარეჯის N38-ში (ნაკვეთის კოდი 02.07.02.641), 19175 $მ^2$ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 1150მ მანძილზე. ობიექტს ჩრდილო–დასავლეთიდან ესაზღვრება შპს „ჯეოსტილი"-ს მეტალურგიული საწარმო და უმოქმედო ყოფილი ტყვიის ქარხანა. ჩრდილო–აღმოსავლეთით ესაზღვრება რკინიგზის ხაზები და გაუქმებული საწარმოები, სამხრეთ აღმოსავლეთით-სახელმწიფო საკუთრების თავისუფალი ტერიტორიები, სამხრეთ დასავლეთით-შპს „რუსთავის ფოლადის ტერიტორია".

გზშ-ს ანგარიშის მიხედვით აღნიშნული საწარმოს პროდუქციის წარმადობა საათში 1 ტ–ზე ნაკლებია, თუმცა შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი"-ს მიერ დაგეგმილია არსებულ საწარმოში ორი ღუმელის დამატება და წარმადობის გაზრდა საათში 1.167ტონამდე.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის მიხედვით პროექტის განთავსებისა და ტექნიკური ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მომხდარა, რადგან საწარმო წლების მანძილზე ფუნქციონირებს არსებულ ტერიტორიაზე, ხოლო საწარმოში გამოყენებული ტექნოლოგია უზრუნველყოფს მოთხოვნლი ხარისხის ფეროშენადნობების: ფეროსილიკომანგანუმის, ფერომანგანუმისა და ფეროსილიციუმის წარმოებას, რამაც გამოიწვია აღნიშნულ საწარმოში წარმადობის გაზრდა.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ჯორჯიან ელოის გრუპ"-ის ფეროშენადნობთა ქარხანა ფუნქციონირებს წლების განმავლობაში და მასში დასაქმებულია 300-მდე ადამიანი, საწარმოს არაქმედების ალტერნატივა უგულველყოფილ იქნა.

პროექტის თანახმად საწარმოს რეკონსტრუქციისას გათვალისწინებულია შემდეგი საქმიანობები:

- საწარმოო კორპუსის სიმაღლის მომატება;
- ორი ღუმელის, ტრანსფორმატორების და გამწმენდი სისტემის მონტაჟი;
- სასაწყობო ბაქნების მოწყობა;

- სამსხვრევების, საცერის და ბლოკების წარმოებისათვის ფუნდამენტების მოწყობა და მონტაჟი;

ზემოთ დასახელებული ოპერაციების დროს ძირითადად მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შედუღების სამუშაოების წარმოებისას. ვინაიდან სამუშაოთა მოცულობა და ხანგრძლიობა მცირეა, გარემოზე ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენის მიზერული იქნება და დეტალური გაანგარიშებების ჩატარება არ იქნა მიჩნეული საჭიროდ.

მშენებლობის პროცესში არ არის გათვალისწინებული ხე-მცენარეების მოჭრა.

წყლით მომარაგება ხდება შპს „რუსთავის წყალთან" და შპს „რუსთავის ფოლადთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლები ჩართულია შპს „რუსთავის ფოლადის" ქსელში. გარდა ამისა ტერიტორიაზე მოწყობილია ორი წყალგაუმტარი ორმო, თითოეული 8 მ3 მოცულობით. მათი გაწმენდა მოხდება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით და გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან ზედაპირული წყლის ობიექტები მნიშვნელოვანი მანძილით არის დაცილებული. ასევე გასათვალისწინებელია, რომ წყალი უშუალოდ არ მონაწილეობს ტექნოლოგიურ პროცესში, ამდენად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. გამომდინარე აღნიშნულიდან პირდაპირი ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო საწარმოში გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარები წარმოადგენენ ხმაურის წყაროს. მათგან ყველაზე ძლიერია ყბებიანი მსხვრევანა და ვიბროცხავი. საწარმოში წარმოქმნილი ხმაურის მოსახლეობაზე გავლენა გამორიცხულია, რადგან საპროექტო საწარმო უახლოესი მოსახლიდან დაშორებულია 1 150 მ-ით. საწარმოში მომუშავეებზე ხმაურის უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით მომუშავეები აღჭურვილი იქნებიან ხმაურისაგან დამცავი ინდივიდუალური საშუალებებით.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული იქნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომლითაც დასტურდება, რომ ტერიტორიის ამგები გრუნტები მდგრადია და უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის. ანალოგიური დასტურდება წლების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე საწარმოს ფუნქციონირებით, ასევე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ გრუნტის წყლების გადაკვეთა 3 მ სიღრმეზე არ დაფიქსირებულა.

შპს „ჯორჯიან ელოის გრუპ"-ის საწარმო მდებარეობს სამრეწველო ზონაში, თუმცა მის სიახლოვეს ანალოგიური პროფილის საწარმო არ ფუნქციონირებს. მიმდებარედ (ჩრდილო-დასავლეთით) ფუნქციონირებს შპს „ჯეოსტილი"-ს მეტალურგიული საწარმო, რომლის გამონაბოლქვის რაოდენობა და პარამეტრები გათვალისწინებული იქნა მავნე ნივთიერებების განბნევის ანგარიშში.

მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშმა აჩვენა, რომ ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია ფონური კონცენტრაციის გათვალისწინებით არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მის დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან დაშორებულ 500მ რადიუსის მანძილზე და, მით უმეტეს, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (1150მ), ამიტომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში მოცემულია და განხილულია ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება, ნარჩენების რაოდენობა, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და მართვა, საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგი, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები და სხვა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია

1. უზრუნველყოს წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესრულება.
2. უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
3. საქმიანობის დაწყებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და სამინისტროს წარუდგინოს შესათანხმებლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის“ შესაბამისად შედგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.
4. საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით. ასევე, ინფორმაცია ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით(ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართების შესაბამისად)
5. სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.
6. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი, შპს „ჯორჯიან ელოის მეტალურგიული საწარმოს (ფეროშენადნობთა საწარმო) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობის დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების

დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>

(სახელი, გვარი)

ბ. ს.

(ხელმოწერა)